# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლეში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამული ბანკის მმართველობისაგან.

რადგან სესხის მიღების მსურველნი ხშირად მიჰმართავენ ხოლმე რჩევისა და დარიგებისათვის კერძო კაცთ, რასაც, რასაკვირველია, ხარჯი მოსდევს, ამიტომ ბანკის მმართველობა კვლავ აცხადებს, რომ ვისაც რა რჩევა და დარიგება უნდა მამულის დაგირავებისა და სესხის აღების შესახებ, იმათ შეუძლიანთ პირდაპირ ბანკის მმართველობას მიჰმართონ და მით კერძო კაცთა და ვექილთათვის მისაცემი ყოველ-გვარი ხარჯი აიცილონ თავიდამ. საზოგადოდ სასურველია, რომ ვისაც ბანკთან აქვს საქმე, პირდაპირ ბანკისავე მმართველობას მიჰმართოს. (3—3)

## წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისაგან

ქართველთა ამხანაგობის გამგეობისა და სარედაქციო კომისიის შეერთებულმა კრებამ მდგომარე წლის 2 იისს დაადგინა ქართულის კრებულის გამოცემა დროგამოშვებით. კრებულში დაიბეჭდება სალიტერატურო და სამეცნიერო წერილები და სივრცით მქმნება არა ნაკლებ ათის თაბახისა (320 გვ.)

ვთხოვთ, ვისაც ჰსურს მონაწილეობის მიღება, თავის ნაწერები გამოუგზავნოს ამხანაგობას კრებულში დასაბეჭდათ.

მოწონებულს და კრებულში დაბეჭდილს რომანებში, მოთხრობებში და სამეცნიერო წერილებში ავტორთ მიეცემათ ნაბეჭდ თაბახში (32 გვერდი, გვერდზედ 27 სტრიქონი იქმნება 5×8 კვადრ.) არა ნაკლებ 18 მ. ლექსები და პოემები დაიბეჭდება სხვა პირობებით.

ხელნაწერებთან ერთად ავტორისმიერ გამოგზავნილი უნდა იქმნას წერილი პირობითურთ შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Правленію Грузинскаго Издательскаго Товарищества. (10—9)

## ახალი ამბავი

*** 29 ოქტომბრამდე ქ. ლენქორანს ხოლერით ავად გახდა 25, ამათში გარდაიცვალა 7 და მორჩა 17. ლენქორანის მაზრას ამავე დროს განმავლობაში ავად გახდა 314 და გარდაიცვალა 89. როგორც ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ ოფიციალურ ცნობათაგანა სჩანს, ხოლერა ძლიერ გავრცელებულა ლენქორანში. წარსულ თთვეს ლენქორანის მაზრაში 500 კაცამდე გარდაიცვალა. ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობამ და როგორც გუშინ ვაუწყეთ მკითხველთ, სადგურ აჯიკაბულს სადეზინფექციო სენაკი გაჰმართა და საზოგადოდ ყოველ გვარს ღონისძიებასა ჰხმარობს, რომ ეს სენი ლენქორანიდგან სხვა ადგილებსაც არ გადაედოს.

*** სამშაბათს, 3 ოქტომბერს, კუკიის მართლ-მადიდებელთა სასაფლაოზედ მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ პეტერბურგისა და ლადოგას მიტროპოლიტმა, საქართველოს ექსარხოსად ნამყოფმა პალლადიმ მათ უსამღვდელოესობათ გორის ეპისკოპოსის ალექსანდრესი, ალავერდის ეპისკოპოსის ბესარიონისა და ტფილისის სამღვდელოების თანამწირველობით გადაიხადა სადღესასწაულო წირვა, საერთო პანაშვიდი კუკიის სასაფლაოზედ დასაფლავებულთა სულის მოსახსენებლად და ამ სასაფლაოს ეკკლესიას ლიტანიით შემოუარა. პანაშვიდს დაესწრნენ: ვიცე-გუბერნატორის თანამდ. ალმასრ. ნავალიხინი, ტფილისის ქალაქის მოურავი თ. არღუტინსკი-დოლგორუკი, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ლ. ა. მაღალაშვილი და მრავალი დიდ-კაცობა. პანაშვიდის შემდეგ მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ მიტროპოლიტმა პალლადიმ წარმოსთქვა სიტყვა და სხვათა შორის მადლობა გადაუხადა სასაფლაოს ეკკლესიის მღვდელს ი. ბერიძეს ახლად აგებულის ეკკლესიისა და სასაფლაოს რიგიანად მოწყობისათვის და „ნაბედრენიკით“ დააჯილდოვა. პანაშვიდს მრავალი ხალხი დაესწრო.

*** ჩვენ მივიღეთ სოფლად ხოლერისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ქ. ერევნიდგან ივანე ნიკოლოოზის ძის ზედგინიძისაგან 3 მან. ამ ფულისა იყო 1136 მან. 90 კ., შესდგა 1139 მან. 90 კაპ

*** ჩვენ მოგვივიდა ახალი ქართული წიგნი „გვირგვინი“, ანუ „ღვთივ შვენიერი თხრობანი სულისა ფრიად სარგებელნი“. წიგნი დაბეჭდილია მღვდელ ვასილ კარბელაშვილის მიერ, რომელიც ამბობს წინასიტყვაობაში, რომ ამ ხანად პირველ თავსა ვბეჭდავთ და შემდეგ თითო პატარ-პატარა წიგნად დავბეჭდავთ დანარჩენ თავთაც, რომელთა რიცხვი სულ ხუთიაო. ეს ახლად დაბეჭდილი წიგნი ძველის სასულიერო მწერლობისა ეკუთვნის იმისთანა წიგნების რიცხვის, როგორიც არის, მაგალითად, ადამის ცხოვრება, სიბრძნე ბალავარისა, ანდრია სალოსი და სხ. ძველის სასულიერო მწერლობის მოყვარულნი მ. კარბელაშვილის მიერ დაწყებულს საქმეს თანაგრძნობით მიეგებებიან, მით უმეტეს, რომ წიგნის გამომცემელს ენა ხელ-ნაწერისა ხელუხლებლად აქვს დაცული და ძნელი სიტყვები სხოლიოში განმარტებულ-ახსნილი. წიგნში სულ 64 გვერდია და ჰღირს 15 კაპ.

*** პეტერბურგში ახლად დაარსდა რუსეთის საზოგადოება ხილის მოშენებისა, რომლის მზრუნველადაც ბრძანდება დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილის ძე. საზოგადოებას საგნადა აქვს გაავრცელოს ხალხში გამოსადეგი ცნობანი ხილის მოშენების შესახებ. ამას გარდა, საზოგადოებას განზრახვა აქვს მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება იმ მცენარეთა მოყვანას, რომლისაგანაც სხვადა-სხვა სენის წამლებს აკეთებენ.

სასურველია, რომ ამ საზოგადოების წესდება ამიერ-კავკასიაშიაც გავრცელდეს და ქართულსა და სომხურ ენებზედ გადითარგმნოს, რადგასაც ჩვენს ქვეყანაში ძლიერ ბევრი სასარგებლო მცენარე და ათას ნაირი ბალახია, რომლებსაც ხალხი წამლადა ხმარობს.

*** თიონეთის მაზრის ს. ჯებათის მცხოვრებმა გედაშურმა 25 ოქტომბერს ჩხუბის დროს მძიმედ დასჭრა იმავე სოფლის მცხოვრები ოთარაშვილი.

*** 3 ნოემბერს, ღამის 3 საათზედ, ტფილისის მეოთხე განყოფილებაში, თ. პ. ბებუთოვის სახლში, თ. ფალავანდიშვილის სადგურში შევიდა ვიღაც თათარი და მოიპარა 6 ცალი ვერცხლის კოვზი, სამი საჭმლისა და სამიც ჩაისა. მოსამსახურეს რაღაც ხმაურობა შეესმა და ჩოთქით ხელში გამოვარდა გარედ. ქურდი გაიქცა, მოსამსახურე უკან დაედევნა, დაეწია და ჩოთქი დაჰკრა. ჩოთქის ტარი გადაუტყდა: ქურდი მოუბრუნდა მოსამსახურეს და დანით დასჭრა მარცხენა გვერდში. დაჭრილის ყვირილი გაიგონა პოლიციის ჯარის-კაცმა მეშკოვცევმა, მაშინვე დაედევნა ქურდს და დაეწია გუდოვიჩის ქუჩაზედ სპარსეთის ელჩის სახლთან. ქურდმა ამ სახლის კიბეებზედ აირბინა. პოლიციელიც თან აჰყვა. ქურდმა დაატყო, პოლიციელი არა მშორდებაო, მოუბრუნდა, დანით დასჭრა რამდენსამე ალაგას, გულსა, მუცელსა და ბეჭებში და თითონ ბაღში დაიმალა. პოლიციელის ყვირილზედ კიდევ რამდენიმე პოლიციელი მოვიდა და მათ შორის პოლიციის მოხელე მოლჩანოვი. საცოდავი მეშკოვცევი და დაჭრილი მოსამსახურე მაშინვე მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს. პოლიცია იქვე შეუდგა ქურდის ძებნას და რადგანაც ამ სახლში ერთის მოსამსახურეს მეტი არავინ აღმოჩნდა, ეს კაცი შეიპყრეს და აჩვენეს დაჭრილებს. პოლიციელმა მეშკოვცევმა და ფალა-

## ფელეტონი

### პირველი ტალღები

(მოთხრობა)

### XIV *)

სალომემ წუხელისვე აიღო ეჭვი, რომ რაღაც მოხდა უჩვეულო მაროსა და დათას შუა და გადასწყვიტა, თვალ-ყური დაეჭირა იმათზედ. ჯერ უნდოდა, სულ არ გაეშვა მარო სამეცადინოდ, მაგრამ პატივსადები მიზეზი ვერაფერი მოსძებნა და არაფერი უთხრა. სამაგიეროდ, ცერებით მივიდა სამეცადინო ოთახის კარებთან და „მიაყურა“.

მაშინ კიდევ ვერ გაიგო, რა ეწერა ლექსში, მაგრამ როცა დაუკვირდა და მიხვდა, რომ პირდაპირ სიყვარულს უცხადებს მაროს, და ამასთანავე მოაგონდა მაროს წუხანდელი არა-ჩვეულებრივი აღტაცება, „იტკვლიცა“ თავში ხელი. „როგორ? ჩემი შვილი, ვის ძარღვებშიაც მეფის სისხლი ტრიალებს (მართლაც, სალომე შთამომავალი იყო ერთ-ერთ დასავლეთის საქართველოს მთავრისა), და დათა მერცხალაძე?.. მერცხალაძე, რომელიც ხეირიანი აზნაურშვილიც-კი არ არის!“ ჰფიქრობდა სალომე.

— მანუჩარ, მანუჩარ! დაუძახა მან ქმარს, რომელიც ბედზედ იმ დღეს შინ იყო.

— რა ამბავია? იკითხა გაკვირვებულმა მანუჩარმა, როცა თავისი მეუღლე ისე აღშფოთებული დაინახა.

— ჰა, წაიკითხე! უთხრა სალომემ და მისცა დათას ლექსი. მანუჩარს არაფერი არ ესმოდა და გაშტერებული იდგა.

— გამოგაშტერა ჩემმა გაჩენმა, წაიკითხე და დასტკბი. მერცხალაძე შენს ქალიშვილს სიყვარულს უცხადებს!

— რას ამბობ? შეჰყვირა მანუჩარმა და დაუწყო ლექსს კითხვა.

— ეს ლექსი დათას დაწერილია? იკითხა მან, როცა შუამდის მივიდა.

— აბა ვისი? ვერ ჰხედავ, წუხანდელი თარიღი უზის ბოლოში?

— მართლა, მართლა... სთქვა მანუჩარმა და ჩაათავა. კარგი-კი დაუწერია, შენმა მზემ. მანუჩარი თითონაც პოეტი იყო გულში და ლექსების კითხვა უყვარდა.

— მერე რა იცი, რომ მაროს სწერს ამ ლექსს, იქნება ისე დასწერა, უთხრა მანუჩარმა ისევ.

— რა ვიცი და ვიცი, ბრმა-კი არა ვარ, რომ არაფერი დავინახო. მარომ ბლუზა შეუკერა და იმანაც ლექსი უძღვნა. მე დიდი ხანია ვამჩნევ მაროს, რომ დათა ძლიერ მოსწონს.

— რას ამბობ? დათა როგორ მოეწონებოდა მაროს? ჰყვიროდა მანუჩარი.

— რატომ არ მოეწონებოდა, სულ იმასთან არის...

— როგორ თუ იმასთან არის? გააწყვეტინა მანუჩარმა: რა უნდა იმასთან? დაუძახეთ, დაუძახეთ ეხლავ!

სალომემ გოგო გაჰგზავნა მაროს დასაძახებლად და მიუბრუნდა მანუჩარს:

— ეხლა გაიგე, რომ მარო კოწიასთან ერთად სწავლობს აგერ თთვე ნახევარია? შენ თითონ არ მიეცი ნება?

— როდის, როდის?.. ჰყვიროდა მანუჩარი: რასაკვირველია, თუ ყოველთვის ერთად იყვნენ, მოეწონებოდა მაროს მისი ლაპარაკი და შეიყვარებდა. ქალებისთვის ხომ ჭკუა არ მოუცია ღმერთს... ოღონდ-კი დაინახოთ ყმაწვილი კაცი და როდი დაეძებთ, ვინ არის... არა, როგორ აძლევდი მაროს ნებას, რომ დათასთან ყოფილიყო ხშირად? ეუბნებოდა გულმოსული ქმარი ცოლს.

— შენ ნება მიეცი და მე რაღას ვიზამდი? შენ... ვინ იცის, სადამდის მივიდოდა ცოლ-ქმარის ჩხუბი, რომ ამ დროს მარო არ შემოსულიყო ოთახში. მაროს თან შემოჰყვა ჩვენი ნაცნობი გამდელიც. მაროს დანახვისათანავე ცოლ-ქმარმა ერთმანეთი მიატოვეს და ორივემ მრისხანედ შეჰხედეს იმას.

— ეს რას ნიშნავს, ქალბატონო? ჰკითხა მანუჩარმა და მიუტანა ცხვირთან ლექსი.

— მე რა ვიცი, წყნარად მიუგო მარომ და შეჰხედა მამას.

— კიდევ ლაპარაკობს, კიდევ ლაპარაკობს ეს უტეხი, ესა! დაიწყო სალომემ; ვის უკითხავდა ამ ლექსს ის სალახანა, ისა? მარომ ხმა არ ამოიღო.

— ვის უკითხავდაო, გკითხავს დედა, რატომ პასუხს არ აძლევ? უთხრა მანუჩარმა.

— მე და კოწიას, მოკლედ წარმოსთქვა მარომ.

— შენ და კოწიას... შენ?.. შენ?.. ჰყვიროდა მანუჩარი: მერე რად მიეცი ნება, რომ შენთვის ამისთანა ლექსები ეკითხა? თუ... შენც თანაუგრძნობ იმას და გიყვარს?..

— მე არაფერი არ ვიცი, ამბობდა აღელვებული მარო.

— ღმერთო ჩემო, რა დღეს მოვესწარი? ღრიალებდა მანუჩარი: ჩემს სახლში ვიღაც მერცხალაძე, გუშინდელი ბალღი, ჩემს ქალიშვილს ლექსებს სწერს.

— უი, უი... გააქნია თავი გამდელმა და დაიწერა პირჯვარი.

— ეხლა რაღას გვეუბნები? თანაუგრძნობ მერცხალაძეს, თუ არა? ეკითხებოდა სალომე. მარო ჩუმად იყო.

— არ გესმის, რატომ პასუხს არ გვაძლევ? ჰყვიროდა მანუჩარ.

— რა პასუხი მოგცეთ, მე არ ვიცი... სთქვა მარომ და დაიწყო ტირილი. ჩამოვარდა სიჩუმე. ყველანი გაშტერებულნი იდგნენ და მისჩერებოდნენ მაროს, რომელმაც ველარ მოითმინა, ამოუჯდა გული და სლოკინი დაიწყო. მანუჩარს მოულბა

*) იხ. „ივერია“, № 231.

ვანდიშვილის მოსამსახურემ ეს კაცი იცნეს და სთქვეს, სწორედ ეგ არის, რომელმაც ჩვენ დაგვჭრაო. ავაზაკი სპარსეთის ქვეშევრდომი ა. ხ. მ. აღმოჩნდა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**მარადიდი** (ბათუმის ოლქი) *). მარადიდის ხეობიდგან იმდენი ხალხი არ გადასახლდებოდა, მაგრამ იმათ ჰყავდათ ერთი ისეთი ხოჯა, ტომით ქართველი, რომელიც სულ იმას უქადაგებდა და ეჩიჩინებოდა ხალხს, გადასახლდით ოსმალეთში, აქ აღარ გედგომილებათო. ეს ამბავი მთავრობამაც შეიტყო, ხოჯა კინაღამ ციმბირში გაიგზავნა, მაგრამ შემდეგ განათავისუფლეს და დღეს ბათუმის დიდს მეჩეთში ჰმსახურებს. მაჰმადიანი ქართველები ამბობენ, რომ დღეს ბათუმში გვყავს მუფთად ქართველი კაცი, გვარად ყილიაქ-ოღლი (გვერდელაძე), კაცი დარბაისელი, მთავრობის ერთგული, ქართულის ენის კარგი მცოდნე და თავის სამშობლო საქართველოსთვის დიდად გულ-შემატკივარიო. ამ პატივცემულის კაცის ძმისაგან შევიტყე, რომ ვითომ ოსმალეთის სამხედრო მინისტრი ქართველია, ბორჩხელიო, ჩვენი ნათესავიო. ქართულის ენის კარგად მცოდნე, საქართველოს ერის საქმეების გამო ხშირად მუსაიფის მოყვარულიო. თვით ეს კაციც კარგად ლაპარაკობს თავის სამშობლო ენას და ქართული წერა-კითხვაც კარგად იცის. ამან სთქვა: თქვენ ჩვენი შიში ნუ გაქვთ, რომ ჩვენ ვითომც ქართული ენა დავკარგოთ. ეს არას დროს არ მოხდება. ჩვენ 260 წელიწადი შევინახეთ ჩვენი ენა ოსმალოს ხელში და აბა თქვენ როგორ მოიქცევით, ვნახოთო. ეს კაცი პეტერბურგში ნამყოფიც არის. იცნობს აკაკის. ამან და პატივსაცემ სულეიმან-ბეგ ბეჟანოღლი პირფარეშიძემ თითო წიგნი ჩვენი დაბეჭდილები ბათუმში მყოფ ოსმალოების კონსულსაც გარდასცეს რომელმაც მუჰამედის ცხოვრებისა და ლოცვების დაბეჭდვის გამო დიდი მადლობა სთქვა და მასთანავე დიდად გაუკვირდა და გაეხარდა, რომ ქართველებს თავიანთ მუსულმან ძმებისთვის ეს წიგნები დაუბეჭდიათო. ეს კონსული ოსმალეთში წავიდა და წიგნები თან წაიღო.

მარადიდში ამას წინად გარდაიცვალა ახმედ ეფენდი ხალვაში, ქართველი მაჰმადიანი, საქართველოს ისტორიის მცოდნე, საქართველოსა და ქართულის ენისათვის დიდად გულ-შემატკივარი, ქართველობას მოწადინებული, საქართველოს დავრდომის გამო დიდად შეწუხებული. ჯერ ისევ ოსმალოს ხელში ყოფნის დროს ახმედ ეფენდი ქართველ მაჰმადიანებში ხელნაწერებით ქართულს კითხვას ავრცელებდა და ავრცელებს. 1875 წ. მან ტფილისიდამაც-კი დაიბარა თურმე ქართული წიგნები, რომლებიც ტფილისიდგან სტამბოლის ქართველ-კათოლიკე ვაჭრებმა წაუღეს ბათუმში. რუსებისაგან ამ ქვეყნის დაჭერის ცოტა წინად დ. ბაქრაძეს ამის სახლში ენახა ტფილისში დაბეჭდილი ქართული წიგნები და ძალიანაც გაჰკვირვებოდა. ომს შემდეგ, ახმედ ეფენდი მთავრობამ მარადიდის უფროსად დაჰნიშნა. ახმედ-ეფენდი თავის საუწყებო საქმეებს ჩინებულად და სამართლიანად თურმე განაგებდა. ამის დროს ვერც ერთი ხოჯა და მოლა ვერ გაჰბედავდა თურმე ქართველების წინააღმდეგ ქადაგებას. ეს კაცი რომ არ ყოფილიყო, ზემოხსენებული ხოჯა მთლად გადაასახლებდა მარადიდის მაჰმადიან ქართველობას ოსმალეთში.

ახმედ ეფენდი ხალვაში მარტო ამით არ არის შესანიშნავი. მან განიძრახა მარადიდში ქართულის სკოლის დაარსება თავის ხარჯით, მაგრამ დაბრკოლება დაჰხვდა წინ. შემდეგ მთავრობას სთხოვეს დახმარება და ნებართვა. პირობისამებრ, ხალვაშმა თავის ხარჯით სკოლის სახლიც გააკეთა და მასწავლებელი და წიგნები-კი მთავრობისაგან დაენიშნა; მასწავლებლად გაჰგზავნეს ისეთი კაცი, რომელ მაც ქართველ-მაჰმადიანების ენა არ იცოდა და ამიტომ ხალხსაც თავისი შვილები არ მიჰყავდა მასთან; რაზედ უნდა მივიყვანოთ, ჩვენ მაგის ენა არ გვესმის დი მაგას ჩვენიო. ამ ამბავმა დიდი ალიაქოთი გამოიწვია. საქმე იქამდის მივიდა, რომ მასწავლებელს გამოუცხადეს, შენის ნებით თუ წახვალ აქედამ და სკოლას თავს დაანებებ, ხომ კაი, თუ არა-და, ჩვენ შენ აქ არ დაგტოვებთო. უკანასკნელად საქმის გამოძიებას შეუდგა ხალვაში, რომელმაც ერს მეტის-მეტი უმადურება შენიშნა მასწავლებლის მიმართ. მან მთავრობას აცნობა ეს გარემოება და სკოლა გაუქმდა.

მარადიდში მშვენიერი, დიდი, ძველი ჯამე არის. ჯამეს გვერდით მოლას მედრესე აქვს გამართული და მედრესეს გვერდით სდგას მშვენიერი სკოლის სახლი აივანით. მე მიველ სკოლაში, მაგრამ კარები დაკეტილი დამხვდა. ფანჯრიდგან შევიხედე და სავსე იყო სტოლებით და სკამებით; მთელი სკოლა სავსეა სასკოლო ნივთებით; აქა იქ უშინსკის „Родное слово“-ს წიგნებიც ჰყრია. გაველ ქუჩაში, აქა-იქ მივიარე ð სკოლის გაუქმების მიზეზი გამოვიკითხე. ყველამ ის აღიარა, რაც ზემოდ მოვიხსენიე. შემდეგ ვნახე თვით ახმედ ეფენდი ხალვაშიშვილი და ამანაც ისე მითხრა. ერთ ხანად მოვიყვანე ქართველი მასწავლებელი და შვილებს მისწავლებდაო, თთვეში 30 მანეთამდე ვაძლევდიო, მაგრამ დიდხანს ამ ხარჯის ატანა ვერ შევძელიო. ვნახოთ, იქმნება მოვახერხოთ რამე, ვსთხოვოთ მთავრობას, რომ მეორედ გაგვიმართოს სკოლა. ხალხი ახლა პირობას იძლევა, რომ შვილებს მოვიყვანთო, მხოლოდ მასწავლებელი ისეთი კაცი უნდა იყოს, რომ ჩვენი ენა ესმოდესო. უნდა ასწავლონ ქართული, რუსული და თათრულიო. თუ მარტო თათრული და რუსული იქნება, მაშინ ეს არ ივარგებსო. ჩვენ ასე გვეუბნებიან, რომ თქვენ თათრები ხართ და თათრული ენა უნდა შეისწავლოთ და რუსულიცაო, როგორც სახელმწიფო ენაო. რუსულს-კი ვისწავლით, მაგრამ უქართულობაც არ იქნება, ჩვენი ენა ქართულიაო. ყველგან ქართულად ვლაპარაკობთო.

მარადიდში სულ ქართული ენაა ხმარებაში, მხოლოდ წიგნის მცოდნენი-კი ბევრი ვერა ვნახე. მარადიდში ქართული წიგნის მცონე რამდენიმე კაცი აღმოჩნდა და სამიც პატარა ყმაწვილი, რომლებიც ამ მარადიდის სკოლაში ყოფილან და ქართული ანბანი ერთის მგზავრის ქართველისაგან უსწავლიათ, რომელსაც ქართული ანბანი ამათთვის ცარცით ერთ ფიცარზედ დაეწერა. ყმაწვილებს არსენას ლექსის ნახვა ძლიერ გაეხარდათ, საჩქაროდ გამომართვეს და მალე სხვა თავიანთი ამხანაგებიც მოიყვანეს, რომელთაც აგრეთვე ქართული ესწავლათ. წვიმიანი დღეები იყო, აქა-იქ სიარული ვერ მოვასწარ და რაც წიგნები დავარიგე, მის მონარჩენი 800 მეტი მარადიდში მყოფს ბ-ნ იესე კილაპტარს დაუტოვე. ეს ახალგაზდა ქართველი აქაურს სამმართველოში მსახურობს და იმან დამარწმუნა, რომ თქვენს წიგნებს მე დავარიგებ და ანბანსაც ძრიელ ბევრს ვასწავლაო. იმედია, რომ ბ-ნი კილიპტარი სამშობლო მწიგნობრობის გავრცელებაში მონაწილეობას მიიღებს და ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს ამ დიდის მნიშვნელობის საქმეს. ასეთივე თანაგრძნობა და გულ-შემატკივრობა აღიარა აქაურის წყლის პირზედ მყოფ ზავთიების უფროსმა, ბ-ნ ანდღულაძემ, რომ მე ჩემს ზავთიებს ყველას დავასწავლი ქართულს კითხვასაო. ჩემს მისვლამდე ქართველ მაჰმადიანებისთვის ამ გულ-შემატკივარს ქართველს ქართული ანბანი უკვე ესწავლებინა, ისინი აღტაცებულნი იყვნენ ქართულის წიგნების ნახვით და კითხვითა. ჭოროხზედ ნავში მოგზაურობის დროსაც რამდენიმე მაჰმადიანი ვნახე ქართულის კითხვის მცოდნე და წიგნები მივეცი.

ახლა შევიტყე, რომ მარადიდის უფროსს აქაურ მცხოვრებლებისთვის სკოლის გამართვა ჩაუგონებია და იმედია, რომ უფროსი საქმეს კეთილად დააბოლოვებს და ამ მიყრუებულსა და მივიწყებულს მხარეში კვლავ დატრიალდება ქართული წიგნი, კვლავ გავრცელდება ქართული მწიგნობრობა, რომელიც ისე იყო აყვავებული აქ ძველად შავთელებისა, თმოგველებისა და მტბევარების დროს.

ზ. ჭ.

*) იხ. «ივერია», № 233.

### კათალიკოზნი საქართველოს ეკკლესიისა

(488—1811 წ.)

**მელქისედეკ** (1013—1069 წწ. *) შემდგომად ამისა წმინდამან მეუფემან კათალიკოს-პატრიარქმან მელქისედეკ მოიგო ქართლის მონასტერი პალავრა ოთხითა სოფლითა და წუქეთი შესავლითა მისითა, ყინცვისი შესავლითა მისითა და შინდობის ნახევარი; კურბითს, რააზნაორი, კარგი სოფელი ერთი; ჩუჩეთს უბანი ერთი, მიწა და ვენახი სასეფო. ზეგანთა სოფელი, შიდარი და კუხეთს ახატანს უბანი ერთი და ნოსორნა სოფელი ერთი; და ჰერეთს მონასტერი დიდითა ძალითა და ლაგოდეხი. და ჰერეთსვე კატეხისა ეკკლესია შესავლითა მისითა; და კაკს ვაჭარი ათორმეტი და ზიარი სოფელი დიდი. ესე ყოველი სოფლები, რომელი მან მოიგო, და რომელნი სოფელნი ძველად ჰქონდეს სვეტსა ცხოველსა და კათოლიკე ეკკლესიასა, და სხვა შესავალნი რაც იყვნეს—მოახსენა ბაგრატ კურაპალატსა და შეუვალად გახადნეს და მისცა სიმტკიცე შეუალობისა; და სხვა რომელნიმე შესავალნი ამას წმიდისა დედა-ქალაქისა—ცხვარი, ცხენი, ღვინო ზედაშენი და რაცა იყო, ყოველი ალი ამირმა *) ამოაგდო და ახადა ამას წმიდასა კათოლიკე ეკკლესიასა; და ყოველნი სოფელნი, რომელნი წმიდასა კათოლიკე ეკკლესიისანი არიან, ააშენა, და

*) იხ. „ივერია« № 230

*) ელიამირი ტფილისისა შუაბისძე წინამოადგილე საჰაკიჯამირისა (790—840 წ.). ამის შემდეგ მცხეთა ჯვარპატიოსნად აათხრეს სარკინოზთა 922 წ. (ქ.-ცხ. 197 გვ.)

---

გული, როცა თავისის საყვარელის შვილის თვალებზედ ცრემლები დაინახა, და შესწუხდა.

— ეხლა ტირი? უთხრა მან დამშვიდებით მაროს: ეხლა რაღა გატირებს?.. წადი, წადი შენს ოთახში და დამშვიდდი. მარო მაშინვე წავიდა.

— მერცხალაძესთან-კი აღარ განახოს ჩემმა თვალებმა, მიაძახა მანუჩარმა თავის ქალს.

— ძიძა, გაჰყევი, წყალი მიუტანე, პირი დააბანინე და დაამშვიდე როგორმე, უთხრა მანუჩარმა გამდელს.

— ბატონო, ქმარი მოუძებნეთ მაგას!.. მაგრე რომ ქალიშვილი ატირუკდება, მერე იმას აღარაფერი აღარ დაამშვიდებს, გათხოვების მეტი, სთქვა გამდელმა და გაჰყვა მაროს.

— მართალს ამბობს, ღმერთმანი, ქალი მალე მეთვრამეტე წელიწადში გადადგება და რა გასაკვირველია, თუ მაგისი გული ეხლა ჰტოკავს, სთქვა მანუჩარმა.

— რა ხანია გეუბნები, რომ გავათხოვოთ-მეთქი, უთხრა სალომემ.

შემდეგ კიდევ დიდხანს ილაპარაკეს ცოლ-ქმარმა, ბევრი არჩიეს და ბოლოს გადასწყვიტეს, რომ მეორე დღესვე სალომე თავისს სამშობლოში წასულიყო ვითომ მომავალ ფერისცვალების გამო, რომელიც მის სოფელში იცოდნენ, და მარიობის წინა დღემდის დარჩენილიყო. მარიობას მაროს დღეობა იყო და იმიტომ, თორემ დათას წასვლამდის სულ არ უნდოდათ მოეყვანათ. მაგრამ მარიობის დღეს ხომ წავიდოდა დათა. ერთის დღის ერთმანეთის ნახვით რა გამოვიდოდა, მით უმეტეს, რომ მარიობას ბევრი სტუმრები იქნებოდნენ და მაროს არც-კი ეცლებოდა დათასთან სალაპარაკოდ. ეს გადაწყვეტილება იმიტომ დაასკვნეს, რომ უნდოდათ, არც მწვადი დაეწვათ და არც შამფური; უნდოდათ ისე მოეშორებინათ დათასთვის მარო, რომ პირველისთვის საწყენი არ ყოფილიყო, გული არ მოსვლოდა და არ მიეტოვებინა ამ მიწურულზედ კოწიას სწავლება. ამით ჰფიქრობდნენ აგრეთვე, დასაწყისშივე ჩაექროთ მაროს გულში ის ცეცხლი, რომელიც უკვე გაჩენილიყო. უმთავრესი გადაწყვეტილება-კი ის იყო, რომ საქმრო მოეძებნათ მაროსთვის და მალე მოეშორებინათ თავიდგან.

— ჩვენი ახალი მომრიგებელი-შუამავალი, ღმერთმანი, ძრიელ კარგი საქმრო იქნება, მითხრეს, ცოლს შეირთავს, თუ მოსაწონი ნახაო, სთქვა მანუჩარმა, როცა საქმროზედ დაიწყეს ლაპარაკი.

— ქვრივი რომ არის? უთხრა სალომემ.

— რა ვუყო მერე? ქვრივია, მაგრამ შვილი არა ჰყავს და ყმაწვილი კაცია, სთქვა მანუჩარმა და დაუწყო ქება. სალომე ვერ იცნობდა ჯერ გოჯასპირიძეს და აღარაფერი უთქვამს წინააღმდეგი.

— მაინც მინდა თქვენის ოჯახის გაცნობაო, მითხრა, და მარიობისთვის დავპატიჟებ, სთქვა მანუჩარმა.

— ძალიან კარგი, მიუგო სალომემ და გულ-დამშვიდებულნი ცოლქმარნი დაჰშორდნენ ერთმანეთს, რაკი ყოველივე საქმე ასე გაარიგეს.

მარო-კი ამ დროს თავისს ოთახში ლოგინზედ იყო პირ-ქვე დამხობილი და ქვითინებდა.

—შვილო, შვილო, იძახდა გამდელი და ეფერებოდა: გული გეტკინება, შენ შემოგევლოს შენი ძიძა... კაია აწი... კაი ბიჭია დათა, მაგრამ კიდე უკეთესს გიშოვით... თავადიშვილი რომ იყოს, არაფერი არ უჭირს, ღმერთმანი. მეც ძლიერ მომწონს, მაგრამ თავადიშვილი რომ არ არის?..

— ძიძა, გაჩუმდი, ნურაფერს მეუბნები მაგაზედ! უთხრა სლოკინით მარომ გამდელს. გამდელმა „ჩაიპუტუნა“ რაღაც და გაჩუმდა. მარო-კი ისევ ისე სტიროდა.

ამ დროს გაიღო კარი და კოწიამ შემოიხედა. მაროს სალომე ეგონა და არ გაუხედნია მისკენ. კოწიამ შეჰხედა მაროს და მაშინვე წავიდა.

— ვინ იყო? იკითხა მარომ.

— კოწია, მიუგო გამდელმა.

— კოწია?.. ოჰ, რატომ არ შემოვიდა მერე?.. სთქვა მარომ. ნეტავი იმას, ჰფიქრობდა საბრალო: ის იმასთან არის ეხლა, იმას არავინ არ დაუშლის იმასთან ყოფნას!.. ნეტავი კიდევ შემოვიდოდეს და შემატყობინებდეს, რას აკეთებს ეხლა დათა?..

უკეთესს მდგომარეობაში არც დათა იყო. მართალია, იმას არავინ გასწყრომია, მაგრამ, მაგიერად, სინიდისი აწუხებდა, რომ იმისთანა მშვენიერ, მარტო ბედნიერებისთვის გაჩენილ ქმნილებას, როგორიც იყო მარო, ამისთანა მწუხარება შეემთხვა მისით.

—ერთობ ავჩქარდი! ჰფიქრობდა დათა: არ მერჩია, არაფერი არ გამემხილა?.. ეხლა ხომ აქ იქნებოდა მარო და შემეძლო დავმტკბარიყავი იმის ყურებით... ეხლა, ვინ იცის, იქნება ისე იმოქმედოს ამ გარემოებამ მაროზედ, რომ სულ შევძაგდე?“... ამისთანა ფიქრებში იყო დათა, როცა კოწია შემოვიდა და უთხრა ყველაფერი;

—ეხლა რას აკეთებს მარო? ჰკითხა დათამ.

— ეხლა თავისს ოთახშია და გულამოსკვნით ქვითინებს.

— ქვითინებს? დაიღრიალა ერთობ აღელვებულმა დათამ. ფიალა გაივსო და უნდა გადმოდენილიყო. იმანაც ველარ შეიმაგრა თავი და უიმისოდაც თვალებზედ მომდგარი ცრემლები ღაპა-ღუპით წამოსკდა. კოწია თანაგრძნობით მისჩერებოდა დათას და ჰფიქრობდა, როგორმე ენუგეშებინა თავისი საყვარელი მეგობარი და მასწავლებელი, მაგრამ როგორ?.. მართლაც, როგორ უნდა ანუგეშო იმისთანა კაცი, რომელსაც ეს-ეს არის მოუკვდა ერთად-ერთი თავისი საყვარელი არსება, და დათასთვის-კი რომ მკვდარი იყო დღეიდგან მარო, ამას კარგად ჰგრძნობდა კოწია.

დუტუ მეგრელი

(შემდეგი იქნება)

დგნა ყოველგან სახლნი და აგნოეკკლესიანი ყოველნი, რიცხვით ყოველნივე და შემდგომად სამხრით სადიაკვნოსა წმ. მოწამეთა სამარტვილოსა შიგან შექმნა საფლავი თვისი და დააყენა საფლავსა ზედა თვისსა გაზრდილი მისი იოანე და უჩინა ამას საკურთხეველსა ჟამის მწირველსა და მისცა თემს (ეზი ქსანზედ უკანასკნელ დრომდე საეკკლესიო იყო). გლეხი სამი ფოძითა (ფუძი) სრულითა, ვენახი ერთი, მიწა ერთი, წისქვილი ერთი, ქალა და ოტათლოანს გლეხი ერთი, ციხედიდს გლეხი ერთი, ორივე ფოძითა სრულითა და ვენახი ერთი. მცხეთას სენაკი ერთი, ბოსელი, ყანა, ვენახი. ესე ყოველი ხელ-შეუალად თავისუფლად მისცა და გაირიგა სამკვიდრო სასულიერო ალაპნი და მოსახსენებელი და გარდაიცვალა წმიდა ესე. ქ.-ცხ. 220,222 გვ. მელქისედეგ კათალიკოზმა განაახლა სხვათა შორის ჭერემის საეპისკოპოსო ტაძარიც, რომლის საფუძველთან დატანებულ ქვაზედ წარწერაში იხსენიება. იგი იხსენიება მცხეთის სვეტიცხოვლის ქარტაში და გრიგოლ ღვთის-მეტყველის წიგნში (ბაქ. ისტ. 257 გვ,). მან შეადგინა სია სვეტიცხოვლის უძრავ-მოძრავ ქონებისა რაც-კი მოიპოვა საბერძნეთში და საქართველოში და იმ ქონების ხელუხლებლობის დამტკიცებას ასე ევედრება მეფეებს—ბაგრატს და კვირიკეს: „ღვთივ დიდებულნო, ძლიერო ბაგრატ აფხაზთა მეფეო და ნებითა ღვთისათა ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატო და ძლიერო მეფეო კვირიკე, ესე დაწერილი და განგებული სულისა ჩემისათვის ხელითა თქვენითა დამიმტკიცეთ“*) (ქ.-ცხ. 221—222 გვ.). 1050 წ. [illegible] მოვიდა საქართველოში გიორგი მთაწმინდელი, თან მოიტანა მრავალი ხელ-ნაწერი საეკკლესიო წიგნი და მიმავალმა თან წაიყვანა რამდენიმე ყრმანი განსასწავლებლად ათონის მთაზედ.

ჰ. ცხვილოელი

(*) სრული პირი ამა შესანიშნავი გუჯრისა იხ. დ. ჩუბინაშვილის პირველად გამოცემულ ქრისტომატიაში, 1846 წ. ქართლის ცხოვრებიდამ და სხ. ცნობები ჩვენ მოვიყვანეთ იმიტომ, რომ კათალიკოზი მელქისედეგი არც ერთს სიაში არ იხსენიება, არ ვიცით კი რა მიზეზით, თუმცა მემატიანე თანამედროვეა აღნიშნულ შემთხვეულებათა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ჩვენს გაზეთში ხშირად შეხვდებით ხოლმე სოხუმის ოლქიდგან და ზუგდიდის მაზრიდგან მოწერილს ამბებს-კაცის კვლისას, რომელიც საქონლის ქურდობის გამო ხდება ხოლმე. ქურდობის მოსპობისათვის მთავრობა ათას გვარ ღონისძიებასა ხმარობს, მაგრამ მაინც ვერას გამხდარა. საყურადღებოა ის ღონისძიება, რომელიც სამურზაყანოსა და კოდორის ნაწილშია მიღებული. ეს ღონისძიება შემდეგია: საზოგადოებას თვით ეძლევა უფლება ქურდობასთან ბრძოლისა. საზოგადოება ამისათვის ირჩევს ორს აზნაურშვილს. მათ საშველად ირჩევენ კიდევ რამდენსამე გლეხს. უველა ამათ ვალადა აქვთ, შეადგინონ სია ქურდობაში შემჩნეულთა, მოპარული საქონელი აპოვნინონ, ეს საქონელი წაართვან და 50 მანეთი ჯარიმა გადაახდევინონ. ამ ჯარიმის ნახევარი ფული შრომის ფასად ეძლევათ. თუ ქურდი არ აღმოჩნდა, დაკარგულის საქონლის ფასს სიაში ჩაწერილ ქურდებს გარდაახდევინებენ.

ამ ღონისძიების შესახებ გაზეთი „Н. О.“ სწერს სხვათა შორის:

კოდორის ნაწილში მოპარულ საქონლის აღმოსაჩენად ამორჩეული აზნაურშვილები ასე იქცევიან: თუ საქონელი მოჰპარეს ვისმეს, მაშინვე შეიკრიბებიან ეს აზნაურშვილები და თავისს მხლებლებით დაეცემიან იმ სოფელს, სადაც ქურდობა მოხდა, და სწორედ რომ „ზეკუციაზედ“ უარესს დღეს აყენებენ ამ სოფელს. ვითომ-და ქურდობის აღმოსაჩენად ამ სოფელში 5—6 დღესა რჩებიან და ამ ხნის განმავლობაში სოფელი მოვალეა აჭამოს და ასვას დაკარგულ საქონლის მძებნელნი. ამ მასპინძლობის დროს სოფელმა 4—5 ხარი უნდა დაუკლას ხშირად ერთ ჯაგლაგ დაკარგულ ცხენის მძებნელთ. საწყენი უფრო ის არის, რომ ვერც დაკარგულს საქონელს იპოვნიან ხოლმე ეს გამომძიებელნი და ამიტომ დანაკარგის ფასს საეჭვო კაცთა სიაში ჩაწერილთ ახდევინებენ. ასეთი უსამართლობა ძლიერ საწყენადა რჩებათ ამ საეჭვო კაცებს, სახლ-კარს თავს ანებებენ და აშკარად იწყებენ ქურდობას. კოდორის ნაწილის ჩებურის-ხინჯის საზოგადოებაში 400 კომლ შორის ჩაწერილი იყო საეჭვო კაცებად 32. ამ საეჭვო კაცებს გადუწყვიტეს თითომ, თექვსმეტი მანეთი უნდა გადიხადოთო. რადგანაც მათ ეს ფული ნებით არ გადიხადეს, ზოგს კამეჩი წართვეს, ზოგს ხარი და ამ გვარად, 16 მანათის მაგიერ, ზოგს 60 მანათი გადაახდევინეს.

კოდორის მთელს ნაწილში საქონელი ასწერეს და აღმოჩნდა, რომ 400 ხარი და კამეჩი უნდა წაართვან პატრონებს, რადგანაც ვერ დაუმტკიცებიათ, ვისგან უყიდნიათ საქონელი და ან როგორ შეუძენიათ.

ამტკიცებს-რა გაზეთი „Н. О.“ ამ ღონისძიების უხერხულობას, დასასრულ ამბობს, რომ საჭიროა:

1) მოპარულ საქონლის აღმოჩენა აზნაურშვილთ-კი არ დაევალოთ, არამედ თვით გლეხებს, რადგანაც საქონლის ქურდობით მომეტებულ ნაწილად გლეხ-კაცობა ზიანდება და, მაშასადამე, თითონ უფრო კარგად იზრუნავს თავისს საქმისათვისაო, 2) რაკი თვით გლეხებს დაევალებათ დაკარგულ საქონლის ძებნა და დამნაშავეთა დაჯარიმება, ეჭვი არ არის, რომ ერთმანეთს სასტიკად არ მოექცევიან და «ეგზეკუციებით» არ შეაწუხებენ ერთმანეთს, და 3) უნდა ვაღიაროთ, რომ საქონლის ქურდობის გამო იმ კაცთა დაჯარიმება, ვისაც ქურდობაში ბრალი არა აქვს და მხოლოდ საეჭვო კაცთა სიაშია ჩაწერილი, უსამართლობად მიგვაჩნია, რადგანაც ყველა კაცმა მხოლოდ თავის დანაშაულისთვის უნდა აგოს პასუხი საზოგადოების წინაშე.

ჩვენ ჩვენის მხრით მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ თუმცა ამ ჟამად არ შეგვიძლიან უარ-ვყოთ ის სხვა-და-სხვა ღონისძიებანი, რომელსაც მთავრობა და თვით საზოგადოება ჰხმარობს ქურდობის მოსასპობად, მაგრამ დარწმუნებულნი ვართ, რომ საქონლის ქურდობის მოსპობა ისე ადვილი არ არის, რადგანაც ამ ქურდობის მიზეზები ფრიად რთულია და მხოლოდ მაშინ მოვსპობთ ამ ქურდობას, როცა ხალხის უმეცრებასა და სიღარიბე-სიღატაკეს ბოლო მოეღება.

## რუსეთი

„ВѢСТНИКЪ ФИНАНСОВЪ“-მა გამოაქვეყნა რუსეთის შემოსავალ-გასავალი ამ წლის შვიდის თთვისა. ჩვეულებრივი შემოსავალი ამ შვიდის თთვის განმავლობაში ყოფილა 460,3 მილ. მანეთი, წარსულ წელთან შედარებით 27 მილ. მანეთით ნაკლები; არა ჩვეულებრივი შემოსავალი შემოსულა ხაზინაში 166,2 მილ. მანეთი, 132,1 მილ. მანეთით მეტი შარშანდელზედ. ამ წელს შემოსავალს მოჰმატებია: სახელმწიფოს რკინის გზებიდგან შემოსულა 89 მილ. მანეთით მეტი წარსულს წელთან შედარებით, სახელმწიფოს საკუთარ თანხებისა და ფასიან ქაღალდებისა 46 მილიონ მანეთით მეტი, შაქრისა—17 მილ. მანეთით მეტი, იმ მამულქონებისა, რომელიც ერთისაგან მეორეს რჩება სამკვიდროდ, შემოსულა 16 მილ. მანეთით მეტი, კერძო რკინის გზებისა 12 მილ. მანეთით მეტი. ნაკლები შემოსულა წარსულ წელთან შედარებით საბაჟოების 4991 მილ. მანეთით, სასმელების—61 მილ. მანეთით, მამულების გამოსასყიდელი—მილ. მანეთით ნაკლები, რკინის გზების საზოგადოებათა სავალდებულო გარდასახადისა 24 მილ. მანეთით ნაკლები... სახელმწიფოს იმავე შვიდის თთვის განმავლობაში ხარჯი ჰქონია: ჩვეულებრივი—497,6 მილ. მანეთი, წარსულ წლისაზედ 335 მილ. მანეთით მეტი, არა ჩვეულებრივი—580,8 მილ. მანეთი, წარსულ წელთან შედარებით 86 მილ. მანეთით მეტი. მთლად ჯამი ამ შვიდის თთვის შემოსავლისა შეადგენს—626,6 მილ. მანეთს, წარსულ წელთან შედარებით 129,3 მილ. მანეთით მეტს. მთლად ხარჯის ჯამი იმავე შვიდის თთვისა 626,6 მილ. მანეთს შეადგენს, ესე იგი მეტს წარსულ წელთან შედარებით 134 მილ. მანეთით და წრევანდელის წლის შემოსავალზედ—649 მილ. მანეთით.

— „Новое Время“-ს სიტყვით, განზრახვა აქვთ თურმე, ერთი დიდად საჭირო კანონი ტყეების დაცვისა შემოიღონ იმ გუბერნიებში, სადაც აქამომდე არ იყო შემოღებული მთლიანად და სავსებით. ეს გარემოება გამოუწვევია, სხვათა შორის, მარტო იმ მოსაზრებას-კი არა, რომ ტყე სულ არ დაიჩრას და არ გაიჩეხოსო, არამედ იმასაც, რომ ყურადღება მიექცეს, რათა ტყეების განადგურების გამო ზოგიერთს ვაჭრობის მხრივ დიდად საჭირო მდინარე-ზღვაში წყალმა ძალიან არ იკლოს, და არ გაძნელდეს სავაჭრო ხომალდების მიმოსვლაო.

— გაზეთ „Волжскій Вѣстникъ“-ი ამბობს, რომ შემოსავლის კვალობაზედ ხარჯი რუსეთში შემოღებული იქნებაო. ეს იქიდგანა სჩანს, რომ სახელმწიფო სახაზინო პალატამ, ფინანსთა მინისტრის განკარგულებისა თანახმად, ქალაქ ყაზანის და ყაზანის გუბერნიის მაზრების კერძო, საზოგადოებრივ და მთავრობის სხვა-და-სხვა დაწესებულებას მოსთხოვა ცნობანი იმის შესახებ, თუ რამდენი მოხელენი გყავთ და ჯამაგირად რამდენს აძლევთო. ეს ამბავი, როგორც ყაზანის სახაზინო პალატა ამბობს, იმ გარემოებას გამოუწვევია, რომ შემუშავებულ იქმნას პროექტი რუსეთში შემოსავლის კვალობაზედ გარდასახადის დაწესებისაო.

## უცხოეთი

**იტალია**. იტალიაში საზოგადო არჩევანები დაბოლოვდა სამინისტროს მომხრეთა გამარჯვებით. როგორც უკანასკნელად მოვიდა ცნობა, ამოურჩევიათ 350 წევრი სამინისტროს დასისა და 120 ოპოზიციის კანდიდატი. რადგან პალატაში სულ 30 წევრია, ამიტომ არჩევანის ავ-კარგიანობა ჯერ კიდევ სრულად არ არის გამორკვეული, მაგრამ რაც გამორკვეულია, იმას-კი ვერაფერი შესცვლის. აშკარაა, რომ ჯიოლიტი გამარჯვებულია. მართალია, ოპოზიციამ, საერთოდ რომ ვსთქვათ, 1890 წელთან შედარებით, ზურგი უფრო მოიმაგრა, იმ წელიწადს 86 წევრი ჰყავდა და ეხლა-კი გაცილებით მეტი ჰყავს, მაგრამ დიდად უმრავლესობა სამინისტროს მხარეს არის და რადიკალები დიდად დამარცხდნენ რამდენსამე ადგილას. გაშავკენჭებულნი არიან კაველოტი, იმბრიანი, ფერარი, კოსტა. მაგრამ არა გვგონია-კი, რომ ამ გარემოებამ უშველოს რამე ჯიოლიტის და ბოლომდე გაატანინოს თავი. ეხლა, ჯიოლიტის დროს, როგორც რუდინის დროსაც იყო, ქვეყნის საფინანსო მდგომარეობა მეტად გაჭირვებულია. მინისტრმა და მისმა ამხანაგებმა უკანასკნელ არჩევანამდე არა ერთხელ განაცხადეს, რომ იტალია უწინდელებრ უკუ არ უდგება სამთა კავშირს და თავისს საახალშენო პოლიტიკას არ შესცვლისო. ამავე დროს სამინისტრომ არც ერთი შესამჩნევი საეკონომიო რეფორმა არ წამოაყენა წინ. თუ ასე წავიდა საქმე, რასაკვირველია, ჯიოლიტი ვერაფრით განაკარგებს საეკონომიო მდგომარეობას იტალიისას და ვერც იმისს ფინანსებს უშველის რასმე. თუ ესეც იმ ძველის გზას დაადგა, რომელსაც ადგნენ კრისპი და რუდინი, მაშინ იძულებული იქნება ან თავისი აღთქმა-დაპირება დაარღვიოს, როგორც დაემართა კრისპის, და ან უარი სთქვას თავის მიერ ნატვირთ საქმეზედ და სამსახურიდგან გადადგეს.

**ავსტრი - ვენგრია**. „Narodni Listy“-ში მთელი წერილია დაბეჭდილი იმის შესახებ, თუ რა შედეგი მოჰყვა ჩეხების წარმომადგენელთა კრებას. მლადოჩეხთა გაზეთი უარჰყოფს ავსტრიის გერმანულ ჟურნალ-გაზეთების ნათქვამს, რომ ამ კრებას მაგდენისიკეთე არა მოჰყვა-რაო. რომ ამ კრებამ შეაერთა და უფრო მჭიდროდ შეაკავშირა ჩეხის წარმომადგენელნი, ამას, სხვათა შორის, აშკარადა ჰმოწმობს შემდეგი გარემოებაცაო: ამავე წლის სექტემბრის თთვეში ჩეხიის კეთილშობილთ მხარი არ დაუჭირეს მლადოჩეხების ადრესს, რომ აღდგენილ იქმნას ჩეხიის სახელმწიფო უფლებანიო. ეხლა-კი იმავე დასმა ვალად მიიჩნია, ვიზრუნებთ, რომ საქმით განხორციელდეს ეს სახელმწიფო უფლების აღდგენის საქმეო. სწორედ ასევე სტარო-ჩეხებმა, რომელნიც ამას წინად ვენის მორიგებას მტკიცედ ადგნენ, გადასწყვიტეს უარი ეთქვათ ამ მორიგებაზედაო და თავისს სხვა თანამოძმეებს მიემხრნენ. მართალია, ამ ორმა დასმა რითიმე უნდა აღნიშნოს თავისი ახალი მიმართულება, თუ ჰსურს ჭეშმარიტი გამომთქმელი იყოს ჩეხიის ერის სურვილისა, მაგრამ ის-კი ნათლადა სჩანს, რომ დვრიტაა დადებული ჩეხიის ყველა დასის შეერთებისა და შეკავშირებისა, რაიცა დიდს გამკლავებას შეიძლებს ტააფეს კაბინეტისასაო.

— როგორც ჩვენმა მკითხველებმაც უწყიან, აგერ უკვე ერთი წელიწადია, რაც ჩეხებმა საეკონომიო ომი გამოუცხადეს გერმანელებს, რომელთაც-კი სავაჭრო რამ მაღაზია აქვთ ბოჰემიაში, და იმათგან სულ არასა ჰყიდულობდნენ. არც ერთი ჩეხი არ შედიოდა გერმანელის დუქანში. სავაჭროდ და ამითი დიდად გაუჭირეს საქმე გერმანელს ვაჭრებს, სულ ერთიანად ძირს დასცეს ასეთი ვაჭრობა. ეხლა ჩეხებს განუზრახავთ, ასევე მოექცნენ მადიარებსაც, რომელნიც მტრულად ეკიდებიან ყოველსავე საეროვნო სურვილს ჩეხებისას. ჩეხებს აზრად მოსვლიათ, სულ ნუღარ ვიხმარებთ ვენგრიის ფქვილსაო. ამის პასუხად პეშტის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას სჯა ჰქონია, რომ თუ ჩეხები ისე მოიქცნენ, როგორც ამბობენ, ჩვენც თავი დავანებოთ და ნუღარ ვიხმარებთ იმათის მრეწველობის ნაწარმოებს, სახელდობრ—ტილოს, ფარფორისა და შუშის ნაკეთობას, მაშინებსა და ლუდს. ამ სჯათათბირს ამასობაში ის გამოურკვევია, რომ ამითი გერმანელთა მრეწველობა უფრო დაზიანდება ბოჰემიაში, ვიდრე ჩეხებისა, და ბევრ სხვა მხრივაც ასეთი მტრობა არაფრად სასარგებლოა გერმანელებისათვისაო. ამის გამო საზოგადოებას განუზრახავს მიჰმართოს ვაჭრობის სამინისტროს და აცნობოს, რომ, თუ ჩეხების ბაზრებიდგან სრულიად აღმოიკვეთა ვენგრიის ფქვილი, ამითი დაირღვევა სავაჭრო და სადამოჟნო ხელშეკრულობა, ავსტრიასა და ვენგრიას შორის დადებული, და რომ ვენგრიის დამოჟნის მხრივ დამოუკიდებლად ყოფნას მაშინ უფრო ბევრი მომხრე და მოკერძე გამოუჩნდებაო.

**ამერიკა**. დეპეშამ უკვე გვაუწყა, რომ, როგორცა სჩანს, კლიველენდი იმარჯვებს, ვითარცა კანდიდატი სადემოკრატო დასისა შეერთებულ შტატების პრეზიდენტის თანამდებობისაო. სამშაბათს უკვე ამორჩეულ იქმნენ ის ამომრჩეველნი, რომელთაც ამ დეკემბრისთვის პირველს რიცხვებში პრეზიდენტი უნდა ამოირჩიონ. თუმცა ჯერ პრეზიდენტი არ არის ამორჩეული, მაგრამ მისნი ამომრჩეველნი ისეთნი არიან, რომ ეჭვიც არა აქვთ, ვაითუ კლიველენდმა არ გაიმარჯვოსო. ეს ამბავი ფრიად ღირს-შესანიშნავია როგორც თვით შეერთებულ შტატებისა, აგრეთვე ევროპისათვისაც. კლიველენდი ცნობილია დიდად პატიოსან საპოლიტიკო მოღვაწედ, რომელიც სახელმწიფოს ინტერესს უფრო აფასებს, ვიდრე სხვა-და-სხვა დასთა კერძო ინტერესს, და რომელსაც, ამას გარდა, ბევრი კიდევ სხვა ღირსება აქვს. კლიველენდის შინა პოლიტიკა უფრო ის არის რომ სადამოჟნო მფარველობის შესუსტებასა სცდილობს. ამას წინად კლიველენდმა ნათლად გამოსთქვა თავისი აზრი და აშკარად განაცხადა, რომ მე პროტექციონიზმის წინააღმდეგი ვარო. ყოველს შემთხვევაში აშკარაა, რომ დემოკრატთა გამარჯვება პროტექციონიზმის მომხრეთა დამარცხებაა და აი სწორედ ამ მხრივ არის ღირს-შესანიშნავი კლიველენდის გამარჯვების ამბავი ევროპისათვის.

### წერილი რედაქციის მიმართ

სულითა და გულით ვეგებები ბ-ნ დ. მაჩხენელის მიერ ახლად განზრახულ კეთილს საქმეს დეპო-კასის დაარსებისას ქ. სიღნაღის მაზრის სოფ. ქვემო-მაჩხაანში და იმათთან ერთად, რომელნიც „ივერიის“ მე-227 №-ში იყვნენ მოხსენებულნი, მეც გამომიღია თანხად ერთი თუმანი. ამ ფულს მოთხოვნილებისამებრ გადავიხდი.

წიგნის მაღაზიის წევრი ალექსანდრე მ. მაჭავარიანი
ქ. სიღნაღი

### სასარგებლო ცნობა

ღვინის დასაწმენდი საშუალებანი. რამდენისამე გადაღების შემდეგ, ღვინისათვის დაწმენდაა საჭირო. ღვინის დასაწმენდად ხმარობენ სხვა-და-სხვა საშუალებას: 1) შეიძლება ღვინო გაიწუროს ამისთვის განგებ გაკეთებულს მანქანაში, 2) შეიძლება იხმაროს ღვინის დასაწმენდად სხვა-და-სხვა ნივთიერება, როგორც მაგალითად: თევზის წებო (рыбій клей), კვერცხის ცილა, ხის საწებოებელი წებო (желатина), ღორის სისხლი, თიხა და სხვა.

თევზის წებო იხმარება მხოლოდ თეთრის ღვინისათვის. ეს არის თევზის გამხმარი შერთი. მისი მომზადება ასე უნდა: საჭიროა დაიჩქლითოს ეს წებო წვრილ ნაწილებად და დალბეს წმინდა წყალში; წყალში უნდა იყოს ერთი დღეღამე. შემდეგ უნდა გასწუროთ წყალი, კიდევ გადაავლოთ წმინდა წყალი და დაუწუროთ ხელში ზელა; სანამ უნდა იზილოს ხელში, მანამ ყოველი მაგარი ნაწილი არ დარბილდეს, შემდეგ უნდა დაიდოს წმინდად გარეცხილს თაბასზედ ეს ცომის მაგვარი წებო, დაასხათ ზედ ცოტაოდენი ღვინო და მოურიოთ, რომ ღვინოში კარგად გაიხსნას. როდესაც რძესავით გათხელდება, მაშინ შეიძლება ჩაასხათ ღვინოში, რომელიც დასაწმენდად არის მომზადებული და კარგად დაურიოთ. ესე 20 წუთი უნდა რევა; მანამ ღვინოს დასწმენდავდეთ, საჭიროა მისი გადაღება. და გადაღებულს უნდა უყოთ წებო.

დაწმენდის შემდეგ ექვსი დღე რომ გაივლის, უნდა ჭნახოთ ღვინო. თუ კარგად დაწმენდილა, ხომ რა კარგი, თუ არა და, უნდა დაასცალოთ კიდევ რამდენიმე დღე. თუ ღვინო დიდი ხანი დარჩა წებოზედ გადუღებელი, არ კარგა, შეიძლება თხლე ისევ მაღლა ამოვიდეს და ღვინო აიმღვრეს. 40 ვედროს ანუ 120 თუნგს ღვინოს უნდა თევზის წებო 3—4 მისხლამდის. ასე იწმინდება თეთრი ღვინო.

წითლის ღვინის დასაწმენდად ხმარობენ დურგლის წებოს (желатинъ Ленэ). ეს წებო მოიხარშოს წყალში, წყალი იმდენი უნდა დაესხას, რომ დამტვრეულს წებოს ცოტა ზევიდგან შემოადგეს. ქვაბი, რომელშიაც წებო იქნება, უნდა ჩაიდგას სხვა წყლიან ქვაბში და ისე შეიდგას ცეცხლზედ, რომ წებოს დამწვრის გემო არ შეჭყვეს; როდესაც მოიხარშება, გაიხსნება წყალში, გადმოიღეთ, გააციეთ და ისე დაურიეთ ღვინოს. 120 თუნგს უნდა 5—6 მისხალი. შემდეგ ისე უნდა მოიქცეთ, როგორც თეთრის ღვინის დაწმენდის დროს.

# დეპეშა

4 ნოემბერი

**პეტერბურგი.** გზა-ტკეცილებისა და წყლის გზათა მართვა-გამგეობა ჩაბარდა გზათა დეპარტამენტის ვიცე-დირექტორს ზელსტრებს, ხოლო სავაჭრო ნავთ-სადგურების მართვა-გამგეობა—გზათა ინსტიტუტის დირექტორს გერსევანოვს.

ხმა დადის, რომ რუსეთსა და გერმანიას შორის ხელ-შეკრულება ჯერ კიდევ დაგვიანდებაო.

**ოდესა.** მემკვიდრე ცესარევიჩი გუშინ დილით, 9 საათზედ, საგანგებო მატარებლით მობრძანდა ვენიდგან და ერთის საათის შემდეგ გემით „Память Меркурія“-თი ბათუმს გაემგზავრა.

**პარიჟი.** ინჟინერი ლესეპსი სამართალში იქმნება მიცემული. ამერიკამ ერთის წლის ვადა მისცა კონცესსიისა პანამის არხის გამყვან საზოგადოებას.

პანამის არხის გაყვანის საქმის გამო სამართალში იქმნებიან მიცემულნი: საზოგადოების საბჭოს პრეზიდენტი ფერდინანდ ლესეპსი, ვიცე პრეზიდენტი შარლ ლესეპსი, მმართველობის წევრნი ფონტანი და კოტტიუ და იჯარადარი ეიფელი, საქმეს გაარჩევს სააპელაციო პალატის პირველი კამერა.

პეტერბურგის ბირჟა, 3 ნოემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8,06 | 8,10 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 161 | 162 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 238¼ |
| —მეორისა . . . . . | — ,, | — ,, | 217½ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 190¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | 102 | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | 99,62 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | 102 | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | 99,87 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 97¾ | — ,, | — ,, |

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეიძლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან. დღისით,

ფოთიდგ გადისან:

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის ... საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაზღლოდაც.

ნ ი ხ რ ი

1892 წ. 18 ენკენისთვიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „
ჯვარის მამის პურის ლავაში.
1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 6 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 12 „
ცხვრის ხორცი — — 7 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. გ. „
მე-2 ხარ. ტყავიანად „

# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ქუთაისში რკინის გზის სადგურზედ გამომცემელ ხეთერელთან, ტფილისში „ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ და „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიებში და აგრეთვე ყველა წიგნის მაღაზიში ლეგენდა ლექსად პ. ცახელისა:

## ზარნაშო.

ფასი სამი შაური.

(4—2)

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—133)



ტფილ. გამოფენა.



ვერცხლისა



ოქროსი

## ЗАВОДЪ
## МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
## А. А. ТУТАЕВА.

*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*

Принимаются постройки, ремонта и окраскъ домовъ, крышъ фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

## ალექსი თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფეტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაბიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებულივაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეგამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (18—15)

## ახალი საპნის ქარხანა

ი. თაიროვისა და კ. ალიხანოვისა

ქ. ტ ფ ი ლ ი ს შ ი

აცხადებს, რომ აკეთებს საუკეთესო ღირსების **საპონს** სარეცხისათვის: ნუშის ფერისასა და მარმარილოს საპონს ლაჟვარდის ფერისას.

წვრილ-წვრილად იყიდება თითო და ხუთ-ხუთ გირვანქიან კალაპოტებად კავკასიის ამხანაგობის სასოფთიაქო ნივთების სავაჭრო მაღაზიაში და საკუთარს სავაჭრო ადგილებში: ა) იარმუკა, სახლი ბუდაღოვისა; ბ) ოლგას ქუჩა, სახლი მებურნუთოვისა; გ) თათრის მოედანი, ქალაქის ფარდული და დ) ავლაბრის მოედანი, ქალაქისავე ფარდული. (5—5)

კეროძო ექიმი

## პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონით: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაშაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა, სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილის ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩის კუთხე, სახლი პაპოვისა, № 9/2, ვარანცოვის ძეგლიდამ მეოთხე სახლი.

(10—5)

## რუსეთის საზოგადოება ცეცხლისაგან დაზღვევისა

კანტორა უმთავრესის საგენტოსი კავკასიისათვის არის ტფილისში, განოვის ქუჩაზედ, ნოტარიუს მამიკონოვის კანტორას გვერდზედ, ყაზაროვის სახლში.

(30—14) ინსპექტორი საზოგადოებისა ვ. ფ. ტარანოვი.